

ექვთიმე თაყაიშვილის წერილები აკაკი შანიძეს და ზოგი სხვა მასალა

ექვთიმე თაყაიშვილისა და აკაკი შანიძის ურთიერთობა ყოველთვის კოლეგიალური, ურთიერთპატივისცემით გამსჭვალული, საქმიანი, მეგობრული იყო, რასაც ადასტურებს ქვეყნის მეჭურჭლეთუხუცესის ის წერილები, რომლებიც დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის აკ. შანიძის პირად საარქივო ფონდში და აქამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა. მათი ოდენობა 16-ს არ აღემატება, რომელთაგან პირველის გარდა ყველა (15) 1948-53 წლებშია დაწერილი, უმთავრესად ეხება მეცნიერის ნაშრომის: „Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии“, ქართულად და რუსულად გამოცემის ისტორიას, თბილისის სახ. უნივერსიტეტის თხოვნას, ბატონ ექვთიმეს დაენერა მოგონება ივ. ჯავახიშვილზე, აგრეთვე, სახელოვანი ისტორიკოსის წინაშე წამოჭრილ სხვა საკითხებს. აქვე ვაქვეყნებთ ე. თაყაიშვილის მიერ დაწერილ თუ მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ისეთ დოკუმენტს, რომლებიც შინაარსობრივად კავშირში არიან აღნიშნულ წერილებთან, ავსებენ ერთმანეთს და ამიტომ საერთო ქრონოლოგიური რიგით გვაქვს დაწყობილ-დანომრილი.

ახლა უფრო კონკრეტულად. აკ. შანიძისამი გაგზავნილი 16-დან 11 წერილი (NN 1, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 11, 14, 16) ე. თაყაიშვილის დაწერილია. N მე-19 წერილის ხელი თითქმის მიაგავს მე-20 წერილის პირველ სტრიქონებს, რომლებსაც ახასიათებს გულმოდგინედ გამოყვანილი დიდი ასოები, თუმცა არც ისე მსხვილი, როგორც მე-19 წერილის ხელწერაა, მაგრამ შემდეგ კალიგრაფია თანდათან ფუჭდება და ბოლო სტრიქონები რამდენადმე ემსგავსება მეცნიერის ხელწერას. რაც შეეხება NN 15, 17, 18 წერილებს, ისინი სხვისი დაწერილია, 17-ის გარდა მათზე ხელმოწერაც კი არ ეკუთვნის ე. თაყაიშვილს, მაგრამ შინაარსის გათვალისწინებით უეჭველია, რომ სამივე მეცნიერის კარნახითაა დაწერილი. ჩანს, ეს გარემოება არც აკ. შანიძისთვის იყო უცხო, საფიქრებელია, მათ დამწერთ (ყველა შემთხვევაში ხელწერა სხვადასხვაა) იგი კარგად იცნობდა, სხვაგვარად წერილებს არ შეინახავდა.

პირველი წერილი ეხება ე. თაყაიშვილისა და აკ. შანიძის ურთიერთობას, უკანასკნელის სამეცნიერო კვლევა-ძიების საწყის ეტაპზე. იგი უთაროლოა, დაწერილი უნდა იყოს 1913 წელს, როდესაც უკვე გადაწყვეტილია აკ. შანიძის მოგზაურობა საქართველოს მთიანეთში ქართული კილოების შესას-

წავლად და გვაცნობს ამ ექსპედიციისთვის მზადებას, რომლის მიმდინარეობის ანგარიში ასახულია იმ წერილებში, რომლებიც დროდადრო ეგზავნებოდა ნ. მარს პეტერბურგში.¹

წარმოდგენილი პუბლიკაციის დანარჩენი მასალა, როგორც მივუთითეთ, ეძღვნება ე. თაყაიშვილის მონოგრაფიის – „Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии“ – გამოცემის საკითხებს. ეს კაპიტალური ნაშრომი თავისი დიდი მეცნიერული მნიშვნელობის პარალელურად, მისდა უნებურად, თავიდანვე, ბუნებრივად დაიტვირთა გარკვეული პოლიტიკური შინაარსით. ასე იყო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც წიგნი მხოლოდ იდეაში არსებობდა. ამაზე მიუთითებს ის დახმარება, რომელიც სახელოვანი ისტორიკოსის მიერ სამხრეთ საქართველოში მონყობილ მესამე ექსპედიციას აღმოუჩინა როგორც ქართულმა თავადაზნაურობამ და სამღვდელოებამ, ასევე სრულიად რუსეთის ერთობათა კავშირის გამგეობამ. ყველას საერთო ინტერესი იყო I მსოფლიო ომში თურქეთის დამარცხება, ამით შეიქმნებოდა მისგან მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნების შესაძლებლობა, რაც ჩვენი საზოგადოების სანუკვარი ოცნება გახლდათ, ხელისუფლება კი ცდილობდა რუსეთის სახელმწიფო საზღვრების უფრო სამხრეთით გადაწევას და ამ დროს ქართულ საზოგადოებაში არსებული ეროვნული გრძნობების გამოყენებას. ექსპედიციის მიერ გამოვლენილი არტეფაქტებით ქვეყნის მესვეურთ საშუალება ეძლეოდათ, საერთაშორისო ასპარეზზე მეცნიერული არგუმენტაციის გამოყენებით, დაესაბუთებინათ თავიანთი ტერიტორიული პრეტენზიები, თან შინ, თუ გარეთ გამოსულიყვნენ იმპერიაში შემავალი ხალხების (მათ შორის ქართველთა) ეროვნული ინტერესების დამცველად. აი, სწორედ ეს იყო ე. თაყაიშვილის მორიგი ექსპედიციისადმი – სრულიად რუსეთის ერობათა კავშირის გამგეობისგან მისი ქართველი მოხელის – ალ. ციციშვილის საშუალებით მიღებული უაღრესად საჭირო დახმარების რეალური მიზეზი, რაც კი არ გამორიცხავს, პირიქით, გულისხმობს უკანასკნელის დიდ პატრიოტიზმსა და ეროვნულ თვითშეგნებას,² სხვადასხვა ინტერესთა გარკვეული თანხვედრის პირობებში.

¹ აკაკი შანიძის წერილები ნიკო მარს, გვ. 108-196.

² თაყაიშვილი, *Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии (1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში)*, გვ. 138, 262-263; საჭიროების შემთხვევაში რუსეთის ხელისუფლებას აქამდეც მიუმართავს ქართველთა პატრიოტული გრძნობებისათვის. მაგალითად, 1826 წელს თბილისზე მოსალოდნელი თავდასხმის დროს და კრიტიკულ სიტუაციაში მანიფესტებზეც გამოუშვია „Наш благоверный грузинский народ“-ის მსგავსი, რასაც ე. თაყაიშვილის მოგონებით ადგილი ჰქონდა 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს (კიკვიძე, *საქართველოს ისტორია*, გვ. 130; თაყაიშვილი, *რჩეული ნაწერები*, ტ. 1, გვ. 332).

მშვიდ, ნორმალურ გარემოში, ექსპედიციის მუშაობის დასრულების შემდეგ, მისი ხელმძღვანელი გარკვეულ ვადებში დაამუშავებდა და გამოსცემდა მოპოვებულ მდიდარ ფაქტობრივ მასალას, მაგრამ რუსეთის იმპერიაში ზედიზედ ორი რევოლუცია მოხდა, საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, პოლიტიკამ მოიცვა მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება, რაშიც, როგორც ეროვნულ-დემოკრატი და საქართველოს ყველა საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარის ამხანაგი (*respicite*: მოადგილე), ჩაბმული აღმოჩნდა ე. თაყაიშვილიც. შექმნილ ვითარებაში აკადემიური მუშაობის გრაფიკი შეზღუდული იყო, რაც, ბუნებრივია, მოიხსნა ემიგრაციის ხანაში, მაგრამ ახლა, დაწყებული საქმის სასურველ კონდიციამდე მიყვანას, ხელს უშლიდა მატერიალური სიღუბნით, უსახსრობა და ამგვარი ვითარებისთვის დამახასიათებელი სხვა გარემოებანი. შეჭირვების მიუხედავად, მეცნიერმა ექსპედიციის ანგარიშის რუსული ვარიანტი დასაბეჭდად ინგლისში გაგზავნა („ქართულიდან თარგმნა გაუჭირდებოდათ“-ო), მაგრამ დაუკარგეს¹ რამაც, ჩანს, შეაფერხა მონოგრაფიის გამოცემის საქმე.

II მსოფლიო ომის მიწურულს, განსაკუთრებით კი მისი დამთავრების შემდეგ, დაისვა თურქეთისგან მიტაცებული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიების დაბრუნების საკითხი, რა დროსაც დიდი მნიშვნელობა შეიძინა ე. თაყაიშვილის 1917 წლის ექსპედიციის ამსახველი მონოგრაფიის გამოცემამ. სწრაფად დაბეჭდვის მიზნით, ავტორისთვის გ. ჩუბინაშვილს შეუთავაზებია ნიგნი „ჩვენი ბელადის (სტალინის — ა. კ.) პატივსაცემად“ მისი დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიეძღვნა, რაც „აიძულებდა მათ დააჩქარონ სურათების დამზადება“ მონოგრაფიისთვის დართული ალბომისთვისო. ე. თაყაიშვილის ამ თუ სხვა (კ. ჩარკვიანისადმი მიწერილი) წერილებიდან ნათელია, რომ „მათ“-ში იგულისხმება მოსკოვის „გოზნაკ“-ის კომისია. რომელიც განიხილავდა და წყვეტდა ნაშრომისთვის თანდართული ფოტოებისა თუ ტაბულების დაბეჭდვის საკითხს (წერილები N 3, 10). სწორედ ამ კომისიაზე ზეგავლენისთვის იყო განკუთვნილი გ. ჩუბინაშვილის შეთავაზება, რომელიც საბოლოოდ კოლეგებს შორის „წინადადების დაყენების“ ფარგლებს არ გასცილებია.

აღნიშნულის დასტურად გამოდგება ნაშრომზე დიდი გაჭირვებით მიმდინარე მუშაობა, რაც ნათლად ჩანს ე. თაყაიშვილისგან აკ. შანიძისთვის გაგზავნილ წერილებში, რომლებშიც სახელოვანი ისტორიკოსი ეხება მონოგრაფიის გამოცემასთან დაკავშირებულ საკითხებს. წუხს ნიგნსაცავებში „საქართველოს სიძველენი“-ს არარსებობაზე „ის წაუღიათ და გამქრალია“,

¹ თაყაიშვილი, *რჩეული ნაწერები*, ტ. 1, გვ. 385.

თბილისის უნივერსიტეტისთვის გადაცემული მისი, თაყაიშვილისეული ბიბლიოთეკიდანაც, ამიტომ სთხოვს ადრესატს დროებით დაუთმოს აღნიშნული გამოცემის საკუთარი ცალი, აგრეთვე, უშოვოს თავისივე (ექვთიმეს) კონკრეტული ნაშრომი.¹ ჩანს, ბატონ აკაკის მხცოვანი მეცნიერისთვის გაუგზავნია „სიძველენის“ დასახელებული წიგნი, მაგრამ ე. თაყაიშვილს ესაჭიროებოდა არა მისი მეორე (1920), არამედ პირველი (1899) გამოცემა. „ის, ძველი გამოცემა მინდა და ვერ მიპოვია ბიბლიოთეკებში“. ამიტომ „თუ ვინმეს აქვს და მიპოვი, მადლობელი ვიქნები, თქვენ ის უნდა გქონდეთ, რადგან ზოგჯერ უჩვენებდით“ (წერილები N 6, 7, 8). ითხოვს, – მისწერეთ, სადაც ჯერ არს მოსკოვში, რომ ქალაქი 1917 წ. ექსპედიციის ტექსტის გამოსაცემად სულ მოკლე ხანში მოაწოდონ რედაქციას ტალინშიო (წერილი N 14).

საბჭოთა სინამდვილისთვის დამახასიათებელი ეს კაზუსი „ლოგიკური“ გვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ, რომ არა მარტო დიდი, ე. წ. საკავშირო მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტა კი არა, „თვით წიგნების საგამომცემლო გეგმის დამტკიცებაც“ ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენცია იყო.² სამწუხაროდ, როდესაც ფინანსური პრობლემების გამო საქმე ჩაიშალა, ე. თაყაიშვილი ითხოვს, ტალინის ფაბრიკამ მოკლე ხანში დაამთავროს „სურათების გაკეთება და ტექსტში მოთავსებული კლიშეები გადმოგზავნონ თბილისში დაბეჭდილ ტაბულებთან ერთად“, რის შემდგომ ქართულ-რუსული ტექსტების ერთდროული აწყობა აქ, საქართველოს დედაქალაქში, დაწყებულიყო. 1951-52 წლებში უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილია ნაშრომის თბილისში დაბეჭდვა, რა დროსაც, ერთი მხრივ, ავტორსა და, მეორე მხრივ, აკ. შანიძესა და გ. ჩუბინაშვილს შორის მიმდინარე კონსულტაციები უკვე ძირითადად წიგნისთვის ფოტომასალის დართვასთანაა დაკავშირებული, რაც დროდადრო მწვავე ხასიათს იღებს (წერილები N 15, 16, 18, 19, 20). ე. თაყაიშვილის ინტერესის საგანია მონოგრაფიის ტირაჟი, ფორმატი, თუმცა ზოგჯერ ადრესატთან სხვა ნაშრომებზეც ამახვილებს ყურადღებას. მაგალითად, საკუთარი სტატიისთვის თანდართული ბარაკონის ჯვრის ფოტოს „პირდაპირ სამარცხვინოს“ უწოდებს, თხოვს „რუსულში მაინც ცალკე კარგ ქალაქად დაბეჭდეთ, ცოტა მაინც უკეთესი გამოვა“-ო ან ივ. ჯავახიშვილზე დაწერილი ჩემი მოგონება გადაიკითხე, ფაქტობრივი შეცდომები თუ არის, შეასწორე და შენი აზრი

¹ ერთგან ასეთ ნაშრომად დასახელებულია ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემული მენინავე დროის აღწერილობა (წერილი N 6), მეორეგან „სტატისტიკური ცნობები“ მე-18 საუკუნისა (წერილი N 7), რაც გაურკვეველობას იწვევს.

² ქიქოძე, თანამედროვის ჩანაწერები, გვ. 107.

მაცნობეო, ანდა აკ. შანიძეს, რომელსაც აინტერესებდა „ალაპნი ჯვრის მონასტრისანი“, პასუხობს: მართალია, გრ. ფერაძე „ჯვარი ვაზისა“-ს მე-3 ნომერში, იუწყებოდა „ალაპების“ დაბეჭდვას, მაგრამ მე-4 ნომერში ისინი არ დაბეჭდილა, ხოლო თავად „ჯვარი ვაზისა“ მხოლოდ ოთხი ნომერი გამოვიდაო“ (ნერილი N 3, 4, 9, 11, 15).

სამხრეთ საქართველოში 1917 წლის ექსპედიციის ამსახველ მონოგრაფიაზე მუშაობამ, ვფიქრობთ, ე. თაყაიშვილში მოამწიფა საკუთარი ნაწერების გამოცემის იდეა, რაზეც თავისი მრავალწლიანი ცხოვრების მანძილზე არ შეიძლება არ ეფიქრა. ეს წინადადება მსცოვანმა მეცნიერმა დააყენა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის კ. ჩარკვიანისადმი გაგზავნილ წერილში, რომელშიც ჩამოყალიბებულია მისი შრომების გამოცემის მასშტაბური გეგმა-პროექტი. ე. თაყაიშვილი საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ, მხოლოდ ერთხელ შეხვდა რესპუბლიკის პოლიტიკურ ლიდერს,¹ თუმცა, როდესაც კ. ჩარკვიანი გაეცნო სახელოვანი ისტორიკოსის წერილს, მასზე რეაგირება მოსთხოვა საქართველოს კომპარტიის ცეკას პროპაგანდა-აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილეს, ყურ. „ბოლშევიკი“-ს მთავარ რედაქტორს დ. მჭედლიშვილს. უკანასკნელის დავალებით, გ. ჩუბინაშვილი მოეთათბირა მსცოვან მეცნიერს და, ისტორიკოსის ნაწერების მნიშვნელობის გათვალისწინებით, შეიმუშავეს წინა პროექტისგან განსხვავებული გეგმა-პროექტი, რომელსაც ვეცნობით დ. მჭედლიშვილისადმი გაგზავნილ ე. თაყაიშვილის წერილში. იგი ადრესატისთვის გადაუცია აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს ა. აფაქიძეს, რომელსაც, თავის მხრივ, ზოგი რამ ზეპირადაც დაუმატებია, ავტორს კი აცნობებს: „ამხ. დ. მჭედლიშვილმა დაიტოვა ერთი ცალი, მეორე კი მთხოვა თქვენთვის დამებრუნებინა და თანაც მითხრა, რომ შეისწავლის ამ საკითხს და მოახსენებს ვისაც ჯერ არს“ (ნერილები N 10, 12, 13).

ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, ე. თაყაიშვილის შრომების გამოცემის საკითხი ლოგიკურ დასასრულამდე არ მისულა, თუმც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას ჩაფიქრებული ჰქონია 1902 წლის ექსპედიციისადმი მიძღვნილი წიგნის დაბეჭდვა, რომელიც მისი ავტორის არც ერთ გეგმა პროექტში შეტანილი არ იყო. ვფიქრობთ, ამაზე მიუთითებს აკ. შანიძის თხოვნაზე გაცემული ე. თაყაიშვილის პასუხი: „1902 წლის ექსპედიციის რუსულ ტექსტს მოგართმევთ, როდესაც საჭირო ფოტოებს დამიმზადებს მუზეუმი“-ო (ნერილი N 14).

¹ ჩარკვიანი, განცდილი და ნააზრევი, გვ. 508; ჩარკვიანი, ინტერვიუ მამასთან (კანდიდ ჩარკვიანი სტალინის, ბერიას და გვიანდელი ეპოქის საქართველოს შესახებ), გვ. 106.

წარმოდგენილი მასალებიდან მკაფიოდ ჩანს, ცხოვრების ბოლოს ე. თაყაიშვილის გარშემო შექმნილი ვითარება: 1951 წლის 6 დეკემბერს დააპატიმრეს მეცნიერის შვილობილი ლიდა თაყაიშვილი-პოლტორაცკაია,¹ როგორც საზოგადოებაში იყო გავრცელებული ხმა, „За нотовнио“.² ახლა კი ნათელია, რომ სახელოვან ისტორიკოსს პირველი უსიამოვნება 1950 წელს შეემთხვა. აი, რას წერს მსცოვანი მეცნიერი აკ. შანიძეს. „ჟორას უბედური საქმე ეტყობა დიდხანს გაგრძელდება. თქვენ შოფერი ეხლა აღარ გყავთ და კარგი იქნება, თუ ამ ბარათის მომტანს სიმონ სვანიძეს აიყვანთ, მანამ ჟორას საქმე გამოირკვეოდეს. ამ სვანიძეს ლიდა და საშა კარგად იცნობენ, 15 წელიწადი ერთად უცხოვრიათ ერთ ბინაში და ამბობენ შესანიშნავი, პატიოსანი და იდეური შოფერიაო. მე ეხლა ცოტა მოვიკეთე და გამოსვლა შემიძლია, თუ მაშინა და კარგი ეს შოფერი გამინევენ დახმარებას“ (წერილი N 9). ჩანს, ეს ჟორა, რომელსაც ისტორიკოსი ზოგჯერ ვინმესთან რაიმეს გადაცემასაც ანდობდა, მისი ან მისი შვილობილის ლიდას ძმისშვილი,³ არა მარტო აკ. შანიძის პირადი მძღოლი, არამედ შეთავსებით ე. თაყაიშვილის მძღოლიც იყო. სხვაგვარად ვერ ავხსნით ამ უკანასკნელის ინტერესს კოლეგის მომსახურე პერსონის ადგილმონაცვლის საკითხისადმი. ჟორას დაპატიმრება პოლიტიკურად იყო მოტივირებული, რაზედაც მიგვანიშნებს მისი შემცვლელის თაყაიშვილისეული დახასიათება – შესანიშნავი, პატიოსანი და იდეური შოფერიაო, მსცოვანი მეცნიერის წერილზე გაკეთებული აკ. შანიძის მინაწერი, – „იგულისხმება ჟორა“ (ანუ ზორია, Зоря), ე. ი. გიორგი გიორგის ძე თაყაიშვილი, რომელიც ჩემი შოფერი იყო, რაღაც ხიფათი შეემთხვა გზაში და დაიჭირეს (წერილი N 9) და სახელოვანი ისტორიკოსის იმჟამინდელი მდგომარეობის ამსახველი გ. ლომთათიძის ერთი ჩანაწერი, – „დაღვრემილია: არაფერს უბეჭდავენ, კორექტურები არსად ჩანს, მეც დავეკარგე“.⁴

მთელი ამ დოკუმენტური მასალის, – ე. თაყაიშვილის 1950 წლის 20 თებერვლით დათარიღებული წერილის, მასზე ადრესატის მინაწერის, და სა-

¹ მეგრელიძე, *ექვთიმე თაყაიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა)*, გვ. 325.

² ლორთქიფანიძე, *მცირე მოგონება*, გვ. 667; თუმცა როგორც ახლა გაარკვევს ლ. თაყაიშვილი-პოლტორაცკაია რეპრესირებულ რეემიგრანტთა შორისაა მოხსენიებული (ჯორჯიკია, *საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ისტორიიდან*, გვ. 128).

³ გ. ლომთათიძის მოგონებით ჟორა-გიორგი თაყაიშვილი ექვთიმეს ძმისშვილია, ხოლო ი. მეგრელიძის მიხედვით შვილობილ ლიდას ძმისშვილი (ლომთათიძე, *ქართული კულტურის მემკვიდრე ექვთიმე თაყაიშვილი*, გვ. 123; მეგრელიძე, *ექვთიმე თაყაიშვილი [ცხოვრება და მოღვაწეობა]*, გვ. 256).

⁴ ლომთათიძე, *ქართული კულტურის მემკვიდრე ექვთიმე თაყაიშვილი*, გვ. 192.

ქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის თანაშემწის 1950 წლის 22 აპრილის ჩანაწერის ურთიერთკავშირი, ვფიქრობთ, აშკარაა. ჩანს, ჟორას დაჭერა იყო ლიდა თაყაიშვილი-პოლტორაცკაიას დაპატიმრების პროლოგი. თუ აკ. შანიძემ გაითვალისწინა მსცოვანი მეცნიერის მძლოლად სიმონ სვანიძის აყვანის თხოვნა, გასარკვევია ჟორას დაჭერით სათანადო ორგანოები ხომ არ ცდილობდნენ ე. თაყაიშვილის გარემოცვაში, მისივე ნათესავეების რეკომენდაციით (რჩევა ხომ შვილობილმა და მისმა ქმარმა მისცეს) ჩაესვათ თავისი კაცი. ასეთი რამ მათგან არ უნდა გაგვიკვირდეს. თითქოს, ამას მიგვანიშნებს ლიდას დაპატიმრების შემდეგ გაკეთებული ი. მეგრელიძის ჩანაწერი: „7. XII. 51. ექვთიმეს უსიამოვნებები შეემთხვა, – მანქანა დაუზიანდა (ამგვარ სიტუაციაში საექვო ფაქტი – ა. კ.). მძლოლი აღარ მოდიხ, ნუხელ ლიდა დააპატიმრეს, ექვთიმე განერვიულებულია... აღარც მომვლელი (გვარად იზოლინა) დადის!..“¹ თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია, უდავო კი ისაა, რომ ე. თაყაიშვილი დაუკითხავთ არა ორჯერ, როგორც აქამდე იყო ცნობილი,² არამედ სამჯერ, რომელთაგან პირველს ადგილი ჰქონია ლიდას დაკავებისთანავე. გ. ლომთათიძის 8. X.1952 წლის ჩანაწერში ვკითხულობთ: „საანდერძო განწყობა“ სუფევს ბატონ ექვთიმესთან. ან კი როგორ არ იქნება ასე? ნელინადი აღიდა დაკავებულია, რიგიანი მოვლა არა აქვს ბერიკაცს (ლიდას ქმრის, თვითონ სნეული კაცისა და მისი მოსამსახურე ქალის ამარადაა მეტწილად) და თან დიდი დარდი და შფოთი ღრღნის. იმდენად არ დაზოგეს, რომ დასაკითხად ნაიყვანეს შარშანდელ არეულ დღეებში...“³ (ხაზი ყველგან ჩვენია – ა. კ.).

აქვეა წარმოდგენილი აკ. შანიძის რუსულად დაწერილი ე. თაყაიშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობის დახასიათება, მისივე მაგნიტოფონზე ჩანერილი სახელოვანი ისტორიკოსის ცხოვრება-მოღვაწეობის მიმოხილვა, მეცნიერის ნეკროლოგი და ზოგი სხვა საყურადღებო მასალა.

ვფიქრობთ, ნათელია, რომ ჩვენ მიერ მოძიებული ე. თაყაიშვილის წერილები აკ. შანიძისადმი მრავალ მნიშვნელოვან ცნობას და ინფორმაციას შეიცავს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ავტორის ბიოგრაფიისა და მეცნიერული მოღვაწეობის შესწავლისთვის.

¹ მეგრელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), გვ. 325.

² მამარდაშვილი, „განსაწმენდლიდან წმინდანობამდე“. ორი უცნობი დოკუმენტი, გვ. 652-659.

³ ლომთათიძე, ქართული კულტურის მემკვიდრე ექვთიმე თაყაიშვილი, გვ. 206.

N 1

1913 წელი* – ექვთიმე თაყაიშვილის წერილი
აკაკი შანიძეს

ბატონო აკაკი!

თქვენი წერილი მივიღე. თქვენი წინადადება საბჭოს მოვასხენე. საბჭო მზათ არის თქვენი სურვილი დააკმაყოფილოს და მოგცეთ სამგზავროთ საქართველოში ჩვენი ენის კილოკავების შესასწავლათ ორასი მანეთი. თქვენ სტატიებსაც დავბეჭდავთ, როცა გარემოება ხელს მოგვცემს. დიდის სიამოვნებით მოვისმენთ თქვენს მოხსენებას პრეფექსების შესახებ.⁽¹⁾

ძრიერ მადლობელი ვარ ჩემი წიგნის Описание-ს საძიებლის შედგენისათვის და მე დიდის სიხარულით გადავანერიებ. ამიტომ გთხოვთ, თან წამოიღოთ ეს საძიებელი, როდესაც ჩვენსკენ წამოხვალთ.⁽²⁾

თქვენი მარადის ერთგული ე. თაყაიშვილი

სუიცა, ფონ. 268, ან. 1, საქ. 1004, ფურ.14.

N 2

1948 წლის 19 მარტი – აკაკი შანიძის მიერ დაწერილი
ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო და საქმიანი
მოღვაწეობის დახასიათება**

Действительный член АН Груз[инской] ССР и профессор Тбилисского Государственного Университета имени И. В. СТАЛИНА Ефимий Семенович ТАКАЙШВИЛИ является одним из крупнейших историков Советского Союза. Начав свою научно-исследовательскую деятельность изданием в 1890 г. „Трех

* აკ. შანიძე 1913 წელს რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მივლინებით იმყოფებოდა დუშეთისა და თიანეთის მაზრებში ქართული კილოების შესასწავლად, ხოლო 1915 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის სამეცნიერო წრის მიერ ივ. ჯავახიშვილის რედაქციით გამოსულ კრებულში დაიბეჭდა ახალგაზრდა მეცნიერის ნაშრომი „ქართული კილოები მთაში“. თან წერილიდან ჩანს, რომ იმხანად უცნობია აკ. შანიძის აზრი პრეფექსების შესახებ და მას პირველად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე მოხსენების სახით მოისმენენ – ა. კ.

** აკ. შანიძის არქივში ინახება ამ დახასიათების შავი ხელნაწერი – ა. კ.

исторических хроник“, давших много нового материала по истории Грузии, Е. С. Такайшвили неутомимо и весьма успешно продолжал работу над проблемами истории родной страны. Систематически совершая археологические экскурсии по разным районам Грузии, он в течение ряда лет собрал огромное количество эпиграфических материалов и изучил архитектурные и другие памятники старины. Побывав дважды (в 1902 и 1907 гг.) в южных районах Грузии, входивших ранее в Карсскую область, Е. С. Такайшвили дал подробное описание обследованных им памятников в „Материалах по археологии Кавказа“ (т. XII, Москва, 1909) и в книге „Археолог[ическая] экспедиция в Кола, Олтиси и Чангли“ (1938). Кроме того, обследованным в Восточной Грузии памятникам он посвятил этюды: „Археологические экскурсии, разыскания и заметки“, появившиеся в пяти выпусках (в. I – 1905 г., в. II – 1905 г., в. III – 1907 г., в. IV – 1913 г., в. V – 1915 г.) и составившие большой том, выявивший массу новых сведений о прошлых судьбах Грузии. Продолжением и дополнением этих работ является его одноименная работа на груз[инском] языке, изданная в двух книгах (I – 1907 г., II – 1914 г.) и дающая материалы глав[ным] образом из Западной Грузии.

Особо надо упомянуть об исключительно ценных материалах, собранных Е. С. Такайшвили в 1917 г., во время комплексной экспедиции в южные грузинские области, давно захваченные Турцией, но занятые русской армией в войну 1914-[19]18 гг. Часть этих материалов уже сдана в печать и специалисты с нетерпением ждут их опубликования.

Основатель „Грузинского общества истории и этнографии“, Е. С. Такайшвили долгое время состоял председателем его правления и всемерно содействовал обогащению музея этого общества ценными рукописями, редкими монетами, этнографическими материалами и предметами малого искусства.* Издания названного общества „Древности Грузии“ (3 тома) и „Древняя Грузия“ (4 тома), содержащие весьма ценные сведения (исследования и др. материалы) по истории и этнографии Грузии, вышли под его редакцией.

Многосторонняя и энергичная деятельность Е. С. Такайшвили, конечно, не исчерпывается этим. Между прочим, он приступил к систематическому и полному описанию богатого собрания груз[инских] рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения“. Описание, составившее два больших тома (т. I – 1902-1904 гг., т. II – 1906-1912 гг.), выявило много нового по истории и истории литературы Грузии. Нельзя упрекнуть его автора в том, что он при этом с особенной любовью останавливается на

* Впоследствии все эти коллекции музея „Грузинского Общества истории и этнографии“ влились в Музей Грузии (შეგბიძგბს სპ. შებიძგბს – ს . ს.).

исторических памятниках и пользуется случаем издать „Обращение Грузии“ в двух редакциях. Привлекая к описанию большое количество древних рукописей поэмы Ш. Руставели „Витязь в Тигровой шкуре“, Е. С. Такайшвили правильно решает вопрос об интерполяциях и о критической работе комиссии Вахтанга VI, проведенной в связи с первым печатным изданием поэмы в 1712 г.

Из критически изданных Е. С. Такайшвили источников истории груз[инской] литературы и языка назовем несколько: „Мудрость Балахвара“ (1902), „Тимсариани“ (1903), „Каталикос-Бакариани“ (1895); „Лисья книга“ (1899), Адышское евангелие (1916, Фототипия); из исторических – уже упоминающиеся „Три исторических хроники“ (1890, русский перевод 1900), „Сборник груз. летописей ‘Картлис Цховреба’ в редакции ц. Марии“ (1906) и, в особенности, обнаруженный им-же замечательный памятник „Распорядок грузинского царского двора“ (1920). Добавим к этому, что ему принадлежат два палеографических альбома (изданных в 1909 и 1920 гг.), равно как ему мы обязаны альбомом груз[инской] архитектуры (1924).

Нельзя не отметить также, что Е. С. Такайшвили за свои ценные работы дважды был награжден премией: в 1907 году он получил почетную золотую медаль от Академии Наук за „Описание рукописей общества распространения грамотности“, * т. 1, а в 1910 г. – большую золотую медаль, от Археологич[еского] Общества за ряд исследований по археологии и истории Грузии, помещенных в XII вып. „Материалов по археологии Кавказа“ (1909).

Честный работник и неутомимый труженик, Е. С. Такайшвили, которому уже перевалило за 86 л., и сейчас полон энтузиазма и, сохраняя ясность ума и необыкновенную память, занят подготовкой к изданию своих многих еще неопубликованных исследований.

А. Шанидзе
Вице-президент АН Груз. ССР
Профессор
19. III. 1948

სტოცა, ფობ. 268, აბ.1, საქ. 788, ფურ. 4-6.

* См. отзыв Н. Я. Марра об этом труде в „Сборнике отчетов о премиях и наградах“ за 1907 год (შებნებნა აკ. მახობისა).

1948 წლის 30 ნოემბერი – ექვთიმე თაყაიშვილის
წერილი აკაკი შანიძეს

ძვირფასო ბ[ატო]ნო აკაკი!

გუშინ გიორგი ჩუბინაშვილს ველაპარაკე ჩვენი გამოცემის შესახებ. ბევრი რჩევა მიაბო, თუ როგორ უნდა დაჩქარდეს ალბომის და ტექსტების გამოცემა და შენც მოგახსენებს და ამიტომ აქ დაწვრილებით არ გავიმეორებ. მიუცილებლად საჭიროა თქვენ ორთავე აკადემიკოსებმა⁽³⁾ პირადად ნახოთ გამომცემელნი პირნი – კომისია და ჯეროვანად აუხსნათ დაჩქარების საჭიროება. ამასთანავე ს. ყაუხჩიშვილს,⁽⁴⁾ რომელიც ეხლა ყოფილა მოსკოვში შეუკრან პირობა, რომ მან ადევნოს თვალყური სურათების დამზადებას და ყველა საკითხებს, რაც სურათებს და ტაბულებს შეეხება. კომისიას უნდა აუხსნან, რომ გამოცემა მიძღვნილი იქნება ჩვენი ბელადის⁽⁵⁾ პატივსაცემად, რომლის 70 წლის იუბილე 1849* წელს მოდის. ეს აიძულებს მათ დააჩქარონ სურათების დამზადება. დასამატი სურათები მზათ არის და თქვენ უნდა წაილოთ და ჩააბაროთ. მაცნობეთ, როდის მიემგზავრებით და პირადათ გნახავთ და მოგახსენებთ. ტირაჟი 7.000 ნაკლები არ უნდა იყოს, ქახალდის შესახებ თქვენ იცით, როგორ უნდა ზრუნვა. ფორმატი ისეთი უნდა იყოს, როგორც სევეროვის⁽⁶⁾ Памятники Груз[инского] зодчества.

მუდამ შენი ექ. თაყაიშვილი

სუიცა, ფონ. 268, ან. 1, საქ. 1104, ფურ. 1.

* Lapsus calami (უნდა იყოს 1949 წელი – ა. კ.).

N 4

1949 წლის 5 იანვარი – ექვთიმე თაყაიშვილის წერილი
აკაკი შანიძეს

ბ[ატონო] აკაკი,

აკადემიამ მთხოვა ამ ანგარიშის მოწოდება და ახლა გაახლებთ, უნდა
მაშინაზე აიწყოს და მე საშუალება არა მაქვს. გთხოვთ, დაამზადებინოთ და
გადასცეთ აკადემიკოს ვეკუას⁽⁷⁾ მდივანს.

ექვთიმე თაყაიშვილი

სუიცა, ფონ. 268, ან. 1, საქ. 1104, ფურ. 2.

N 5

1949 წლის 10 დეკემბერი – ექვთიმე თაყაიშვილის
წერილი აკაკი შანიძეს

ბ[ატონო] აკაკი!

გუშინ მივიღე ბარაკონის ჯვარის რუსული კორექტურა. სურათი ბარ-
აკონის ჯვარისა კი არ მოჰყვა, არამედ დავით აღმაშენებლის ჯვარისა. ეს
ორივე ჯვარი მე ერთ სტატიათ გავაკეთე. თქვენ გაგიყვიათ, კეთილი, ეს სულ
ერთია, მაგრამ დავითის ჯვარის ტექსტი ჯერ აწყობილი არ არის არც ქარ-
თული, არც რუსული. ქართულში ბარაკონის ჯვარის სურათი პირდაპირ სა-
მარცხვინო რამეა. რუსულში მაინც ცალკე კარგ ქალაქებზე დაბეჭდეთ, ცოტა
მაინც უკეთ გამოვა.

თქვენი ექვთიმე

სუიცა, ფონ. 268, ან. 1, საქ. 1004, ფურ. 15.

N 6

1949 წლის 28 დეკემბერი – ექვთიმე თაყაიშვილის
წერილი აკაკი შანიძეს

ბ[ატონ]ო აკაკი!*

თქვენ საკუთარ ბიბლიოთეკაში გექნებათ ჩემი საქართველოს სიძველენის I წიგნი,⁽⁸⁾ რომელიც დამატების სახით მოამბეში⁽⁹⁾ იბეჭდებოდა. ეს ძველი გამოცემა ვერ მომინახეს ვერც ერთს წიგნთსაცავში და აგრეთვე ჩემი გამოცემული მენინავე დროშის აღწერილობა. ეს ორი წიგნი მათხოვეთ და მალე დავაბრუნებ.

თქვენი ექვთიმე

სუიცა, ფონ. 268, ან. 1, საქ. 1104, ფურ. 3.

N 7

1949 წლის 29-30 დეკემბერი (სავარაუდოდ) – ექვთიმე
თაყაიშვილის წერილი აკაკი შანიძეს

ბ[ატონ]ო აკაკი!

ეს მეორე გამოცემა 1918⁽¹⁰⁾ წლისა მაქვს, მაგრამ აქ პირველი ნახევარია დაბეჭდილი, მეორე ნახევრის გამოცემა ველარ მოვასნარი, ის ძველი გამოცემა მინდა და ვერსად ვერ მიპოვნეს ბიბლიოთეკებში. ის „მოამბეში“ იბეჭდებოდა და მერმე ცალკე წიგნად გამოვიდა, რაც შეეხება „სტატისტიკურ ცნობებს“ მე-18 საუკუნისა მე უკვე ვიშოვე და აღარ მინდა.

მარად შენი ექ. თაყაიშვილი

სუიცა, ფონ. 268, ან.1, საქ. 1004, ფურ. 6.

* წერილს უკანა მხარეს აწერია – „ბ[ატონ] აკაკი შანიძეს“ (ა. კ.).

N 8

1949 წლის 31 დეკემბერი – ექვთიმე თაყაიშვილის
წერილი აკაკი შანიძეს

ბ[ატონ]ო აკაკი!

უკაცრავათ ვარ, რომ ჩემი 1941 წ[ლის] შრომების ნუსხას კარგად გა-
დანერილს და ზოგიერთის ნამდვილის სათაურით ვერ გიგზავნით (ეს ეხება
იმ სტატიებს, რომლის სათაურები თქვენ შესცვალეთ და ეს შეცვლილი მე
ხელთ არა მაქვს). ეს აღნიშნულია ნუსხაში, რომელსაც გაახლებთ და თქვენ
უნდა შეასწოროთ. გიორგი ლომთათიძე ჩემთან ვერ მოდის, თქვენ მიერ დატ-
ვირთულია საქმეებით, და მე წერა მიჭირს. მისი მეუღლე⁽¹¹⁾ მოდიოდა, მაგრამ
ეხლა საუბედუროთ უძღურად არის. „სიძველენის“ ძველი გამოცემა დიდად
საჭიროა ეხლა ჩემთვის, მაგრამ ვერსაიდან ვერ ვიშოვი. ჩემი ბიბლიოტეკი-
დან, რომელიც ეხლა უნივერსიტეტშია, ის წაუღიათ და გამქრალა. თუ ვინმეს
აქვს და მიშოვინი,* მაღლობელი ვიქნები, თქვენ ის უნდა გქონებოდეთ,**
რადგან ზოგჯერ უჩვენებდით.

თქვენი ექვთიმე

სუიცა, ფონ. 268, ან. 1, საქ. 1104, ფურ. 4.

N 9

1950 წლის 20 თებერვალი – ექვთიმე თაყაიშვილის
წერილი აკაკი შანიძეს

ძვირფასო აკაკი!

ჟორას*** უბედური საქმე ეტყობა დიდხანს გაგრძელდება. თქვენ შო-
ფერი ეხლა აღარა გყავთ და კარგი იქნება, თუ ამ ბარათის მომტანს ს ი მ ო ნ
ს ვ ა ნ ი ძ ე ს⁽¹²⁾ აიყვანთ, მანამ ჟორას საქმე გამოირკვეოდეს. ამ სვანიძეს

* მიშოვინით (ა.კ.)

** შემდეგ ეწერა, „რადგან იქიდან თავის დროზე არაგვის საერისთაოს აღწერს, არა-
ერთხელ უჩვენებდით“ – მაგრამ მერე ავტორს გადაუშლია (ა. კ.).

*** იგულისხმება ჟორა (ანუ ზორია, Зоря), ე. ი. გიორგი გიორგის ძე თაყაიშვილი,
რომელიც ჩემი შოფერი იყო, რალაც ხიფათი შეემთხვა გზაში და დაიჭირეს — ა. შ.
(მინანერი ეკუთვნის ბატონ აკ. შანიძეს – ა. კ.).

ლიდა⁽¹³⁾ და საშა⁽¹⁴⁾ კარგად იცნობენ, 15 წელიწადი ერთად უცხოვრიათ ერთ ბინაში და ამბობენ შესანიშნავი, პატიოსანია და იდეური შოფერი. მე ესლა ცოტა მოვიკეთე და გამოსვლა შემიძლია, თუ მაშინა და კარგი ეს შოფერი გამინევენ დახმარებას.

ალაპების შესახებ გაცნობებთ, რომ ფერაძე ბროშურაში „ჯვარი ვაზისა“ N3 სწერს: შემდეგ ნომრებში დაბეჭდილი იქნება სხვათაშორისო, „ალაპნი ჯვარის მონასტრისანი“, „ლაიპციგის უნივერ[სიტეტის] ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერი“. შემდეგ N 4 გამოვიდა, მაგრამ მასში ეს ალაპები არ არის დაბეჭდილი. მეტი ნომერი არ გამოსულა.

შენი ექ. თაყაიშვილი

სუიცა, ფონ. 268, ან.1, საქ. 1004, ფურ. 5.

N 10

1950 წლის გაზაფხული – ექვთიმე თაყაიშვილის წერილი
საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის /ბ/
ცენტრალური კომიტეტის მდივანს
ამხ. კანდიდ ჩარკვიანს⁽¹⁵⁾

საქართველოში ჩამობრუნების შემდეგ, 1945 წელს აქეთ, შეძლებისამებრ ინტენსიური მუშაობით თავი მოვუყარე და ლიტერატურულად გავაფორმე რიგი ნაშრომები და პუბლიკაციები, რომელთა ნაწილი ამ ბოლო ხანებში დაიბეჭდა, ხოლო ზოგი ამჟამად იბეჭდება ჩვენს სამეცნიერო ორგანოებში.

ასე მაგალითად, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა აქვს გადაცემული, მაგრამ ჯერ არ გამოსულა:

- 1) ჩხარის ეკლესიის სიძველენი, II ნაწილი.
- 2) ევროპაში ნახული ქართული სიძველენი.
- 3) თისლის მონასტრის სვინაქსარის ისტორიული მინაწერები, ათაბაგ ბოცო-ბასილის შთამომავალთა გენეალოგიითურთ.
- 4) ტაო-კლარჯეთის მოკლე გეოგრაფიული, ისტორიული და ეთნოგრაფიული მიმოხილვა.
- 5) აპოკრიფი, რომელიც წინ მიუძღვის მაჩაბლისეულ ვარიანტს „ქართლის ცხოვრებისა“.

თბილისის უნივერსიტეტსა აქვს გადაცემული, მაგრამ ჯერ არ გამო-
სულა:

1) ვატიკანის ბიბლიოთეკის ორი ქართული ხელნაწერი.

2) სომხით-საორბელოს ქართულ ძეგლთა წარწერები, ნან. II (I ნაწილი
პარიზშია გამოცემული).

3) პერევისის ძველი ეკლესია.

4) ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერილობა (ორი, სხვადასხვა დროი-
სა).

მაგრამ სერიოზულად ბრკოლდება ჩემი დიდი ნაშ-
რომების გამოცემა და ეს გარემოება მაიძულებს შეგანუხოთ და
წინამდებარე მოხსენებითი ბარათი წარმოგიდგინოთ.

1) ამჟამად უმნიშვნელოვანესი ნაშრომი, რომელიც ტაო-კლარჯეთის
ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავ ძეგლებს ეხება („1917 წლის არქეო-
ლოგიური ექსპედიცია ტაო-თორთუმ-ისპირში“),⁽¹⁶⁾ უკვე კარგა ხანია გადაეცა
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას და რედაქციაქმნილია. გამომცემლო-
ბამ კაციც კი გაგზავნა მოსკოვს, ტაბულების „გოზნაკ“-ის ლითოგრაფიაში
დაბეჭდვის მოსაგვარებლად, მაგრამ ტაბულები ჯერ არ დამზადებულა და
უიმათოდ კი ტექსტის სტამბაში გადაცემა არ შეიძლება. გარდა ამისა, აქ
უნდა დამზადდეს ძეგლების მრავალრიცხოვან წარწერათა კლიშეები, ტექსტ-
ში მოსათავსებლად.

2) მეორე რიგში უნდა დაიბეჭდოს „1907 წლის არქეოლოგიური ექსპე-
დიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში“. ამ ნაშრომის ქართული ტექსტი უკვე გა-
მომცემულია (პარიზში, 1938 წ.), მაგრამ იმ წიგნს არ ახლავს არცერთი სურა-
თი და გეგმა, ხოლო უამისოდ ხუროთმოძღვრების ძეგლთა გამოცემა ძლიერ
ნაკლოვანია. საჭიროა დამზადდეს ფოტო-ანაბეჭდები იმ 150 ნეგატივიდან,
რომელნიც ინახება ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ფოტოარ-
ქივში (ექსპედიციის ფოტოგრაფის ე. ლიოზენის⁽¹⁷⁾ მიერ გადაღებული). ეს საქ-
მე ახლავე უნდა გაკეთდეს, რათა წლევანდელი ზაფხულის თვეებში შევიძლო
რუსული ტექსტის დამზადება, რისთვისაც ფოტო-სურათები აუცილებელია.

ამ გამოცემით დამთავრდებოდა გამოქვეყნება თურქეთის მიერ მიტა-
ცებული ძველი ქართული თემების მშვენიერი ძეგლებისა, რომელთა ნაწილი,
როგორც ამბობენ, ამჟამად განადგურებულია.

3) შემდეგ, საჭიროა გამოცემა ლეჩხუმ-სვანეთის ძეგლთა ფოტო-სურ-
ათებისა (4 ალბომი, თითოში 130 ტაბულა). ამ ექსპედიციის ანგარიში გამო-
ცემულია, ქართულად (პარიზი, 1937 წ.), აგრეთვე სრულიად უსურათოდ.

4) ასევე უნდა დამზადდეს სამეგრელოს ძეგლთა ფოტონაბეჭდები, იმ 400-მდე ნეგატივიდან, რომელნიც 1914 წლის ექსპედიციაში ჩემმა თანმხლებმა თ. კიუნემ⁽¹⁸⁾ გადაიღო. სამი ალბომი გამოვა. ექსპედიციის ანგარიში უკვე კარგა ხნის დაბეჭდილია („ძველი საქართველო“, ტ. III).⁽¹⁹⁾

5) ორი ალბომი დასჭირდება აგრეთვე იმერეთის ძეგლთა ფოტოსურათებს, რომელნიც 250 ნეგატივიდანაა გადასაღები. ექსპედიციის ანგარიშის ტექსტი მხოლოდ ნაწილობრივია დაბეჭდილი.

6) ორი ალბომი დასჭირდება რაჭის ძეგლების 260 ფოტოსურათს, თ. კიუნეს მიერ გადაღებულს.

7) სამი ალბომი დასჭირდება ქართლ-კახეთის ძეგლთა ფოტო-სურათებს, რომელთა ნეგატივებიც ზოგი კიუნეს მიერაა გადაღებული, ზოგი ერმაკოვის მიერ.

ამ ფოტო-ალბომთა გამოცემას მეცნიერულ ღირებულებას მატებს ის გარემოება, რომ ზოგი ძეგლი, ჩვენი ექსპედიციების მიერ ფოტოგრაფირებული, ამჟამად უკვე აღარ არსებობს, ან დაზიანებულია.

კოლა-ოლთისის ფოტოსურათთა კლიშეები, სიჩქარისათვის, მოსკოვში უნდა დამზადდეს, ხოლო ლეჩხუმ-სვანეთის, სამეგრელოსი, რაჭისა, იმერეთის და ქართლ-კახეთის კლიშეთა გაკეთება ეგებ ლაიპციგში მოხერხდეს.

8) დიდად სასურველია (და ეგებ პირველ რიგშიც სჯობდეს) რუსულად გამოცემა, ცალკე წიგნად, „სუმბატ დავითის ძის ქრონიკისა“, რომელიც 1949 წ[ელს] ქართულად გამოსცა ჩვენმა აკადემიამ, რუსული ტექსტი შემოიღია გავამზადო ა/წ. სექტემბრისათვის.⁽²⁰⁾

9) უკვე გადათეთრებული და გამოსაცემად გამზადებული მაქვს ტექსტი მთელ მსოფლიოში კარგად ცნობილი აპოკრიფის, ე. წ. — „ქვაბ სვანძური“-ს* მეორე ვარიანტისა.

10) დასასრულ, დასაბეჭდად გამზადებული მაქვს აგრეთვე „არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“, წიგნი 1, რომელიც თავის დროზე იბეჭდებოდა ჟურნ. „მოამბე“-ში, დამატებათა სახით, ხოლო 1907 წელს ცალკე წიგნადაც დაიბეჭდა, სულ 50 ცალი. ამ წიგნის შოვნა ახლა ძალიან ძირს. იგი მრავალ ძვირფას მასალას შეიცავს და უთუოდ უნდა გამოიცეს ხელახლა.

ყველა ამათგან ჯერჯერობით მხოლოდ პირველს (ტაო-კლარჯეთის ძეგლებს) ჰყავს გამომცემელი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. მცირე ნაშრომები იბეჭდებოდა და იბეჭდება აკადემიის მოამბეში, ისტორიის ინსტიტუტის სერიაში, საქართველოს მუზეუმის მოამბეში

* უნდა იყოს „ქვაბ საგანძური“ (ა. კ.).

და უნივერსიტეტის შრომებში. ამ დიდტანიანი ნაშრომებისა და ალბომების გამოცემას კი ვერცერთი მათგანი ვერ კისრულობს, რადგან თავისიც ბევრი აქვთ გამოსაცემი და სახსრები არ ჰყოფნით.

ამიტომ მოგმართავთ თხოვნით, რათა ხელი შეუწყოთ ზემოთ ჩამოთვლილი, ფრიად მნიშვნელოვანი მასალების დროულად გამოქვეყნებას და, თუ საჭიროდ დაინახავთ, თქვენი შეხედულებისამებრ გაანაწილოთ ეს საქმე რამდენსამე გამომცემლობას შორის (რათა არც ერთი არ დაიტვირთოს ძალიან და გამოცემაც დიდად არ გახანგრძლივდეს. იქნებ იპრიანოს ბედმა და მოვესწრო მათს დაბეჭდვას) და ამთავითვე დაავალოთ სათანადო დაწესებულებას აღნიშნული ფოტოანაბეჭდების დამზადება.

რა თქმა უნდა, შეუძლებელია ამ მცირე მოხსენების მიხედვით სრული წარმოდგენის მიღება იმ დიდძალი ისტორიულ-არქეოლოგიური მასალების შესახებ, რომლებიც დაგროვილი და ფოტოგრაფიულად გადმოღებული მაქვს.

ამიტომ აგრეთვე გთხოვთ, თუ შეიძლება, დამინიშნოთ შეხვედრის დრო, რომ ზოგი რამ პირადად წარმოგიდგინოთ და მოვისმინო თქვენი ავტორიტეტული აზრი ჩემი გეგმის განხორციელების შესახებ.

თქვენი დიდად პატივისმცემელი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ნამდვილი წევრი, პროფესორი ე. თაყაიშვილი

სუიცა, ფონ. 268, ან. 1, საქ.1665, ფურ. 41-45.

N 11

1950 წლის 14 ნოემბერი – ექვთიმე თაყაიშვილის
წერილი აკაკი შანიძეს

ბ[ატო]ნო აკაკი!

უნივერსიტეტმა შემომიკვეთა ცოტა მოგონების დაწერა ივ. ჯავახიშვილის შესახებ. ბევრი არ შემიძლია და ეს მცირედი დავწერე. გთხოვ გადიკთხო, ფაქტიური შეცდომები თუ არის შემისწორო და შენი აზრი მაცნო, ღირს თუ არა ამის წარდგენა. მართან მის დამოკიდებულებას განგებ არ შევეხე ვრცლად გარემოების გამო.

შენი ექ. თაყაიშვილი

სუიცა, ფონ. 268, ან.1, საქ. 1004, ფურ.13.

N 12

1951 წლის 23 იანვარი – ექვთიმე თაყაიშვილის წერილი
საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის /ბ/
ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილეს
ამხ. დ. მჭედლიშვილს⁽²¹⁾

საქართველოს კ. პ. /ბ/ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ამხ. კ. ჩარკვიანის სახელზე 1950 წლის გაზაფხულს გაგზავნილი მოხსენებითი ბარათის დამატების სახით მოგახსენებთ, რომ ამ ორი დღის წინ, თქვენი დავალებით, ჩემთან იყო აკად. გ. ჩუბინაშვილი და მასთან მოთათბირების შემდეგ გამოვიმუშავეთ შემდეგი რიგი ჩემი ნაშრომების გამოცემისა:

1. „1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია ტაო-თორთუმისპირში“, რუსულად უკვე იბეჭდება ქალ[აქ] ტალინში, 3.000 ცალი. სურათების ნაწილი უკვე დამზადებულია, მაგრამ უმეტესობა ჯერ არ გამოუგზავნიათ.

პირველ რიგში უნდა დასრულდეს ამ წიგნის ბეჭდვა და მას უნდა მოჰყვეს მისი ქართული ტექსტის გამოცემა (1.000 ცალი). სამწუხაროდ, ეკონომიის მიზნით, იძულებული ვხდებით, რუსული გამოცემის

მთავარი ტაბულები ქართულ გამოცემას არ დავურთოთ და ქართულ ტექსტში მივუთითოთ რუსული გამოცემის ტაბულები. სამაგიეროდ, ამ გამოცემას დაერთვის ზოგიერთი ქართული წარწერის სურათი, რომელნიც რუსულ ტექსტში ვერ არის ჯეროვნად გამოცემული. ქართული ტექსტი თბილისში უნდა დაბეჭდოს აკადემიამ.

II. მეორე რიგში უნდა დაიბეჭდოს „1907 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში“, რუსულად. ამ წიგნის 150 ფოტო-სურათი უკვე გამზადებულია დასაბეჭდად, მაგრამ ქართულ გამოცემაში ვერ მოთავსდა. დაახლოვებით 120 ტაბულა გამოვა.

ეს წიგნი უსათუოდ თბილისში უნდა დაბეჭდოს აკადემიამ, ვინაიდან სხვაგან, უჩემოდ, არ მოხერხდება. რედაქტორი უნდა იყოს გ. ჩუბინაშვილი, რომლისაგან თანხმობა მიღებული მაქვს.

ამ ორი წიგნით დამთავრდება თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული რაიონების არქეოლოგიური ძეგლების აღწერილობის გამოცემა, რაც ასე საჭიროა ამჟამად.

III. მესამე რიგში უნდა გამოიცეს „რაჭის ძეგლები და სიძველენი“. აგრეთვე შეთანხმებული ვართ, რომ რედაქტორობას გ. ჩუბინაშვილი იკისრებს. უნდა გამოსცეს აკადემიამ. ამ წიგნს დასჭირდება 260 სურათის დართვა.

მესამე რიგშივე უნდა გამოიცეს „ჯრუჭის ეკლესიის სიძველენი“ და „მღვიმის ეკლესიის სიძველენი“. ორთავე წიგნს 120-მდე სურათი დაერთვის. ესენიც აკადემიამ უნდა გამოსცეს, იმავე გ. ჩუბინაშვილის რედაქტორობით.

IV. მეოთხე რიგში უნდა გამოიცეს „გელათის ტაძრის სიძველენი“ (120 სურათით) და „სამეგრელოს ძეგლები“ (400 სურათით). ამავე დროს უნდა დამზადდეს ტაბულების ალბომები „ლერხუმ-სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციისათვის“ (4) ალბომი, თითოში 130 ტაბულა).

V. მეხუთე რიგში – „ქართლ-კახეთის ზოგიერთი ძეგლი და სიძველენი“ (320-მდე სურათით).

VI. მეექვსე რიგში „აპოკრიფული თხზულება ქვაბი საგანძური“. დიდად შესანიშნავი ძეგლია: ერთი ვარიანტი უკვე გამოცემულია ჩემ მიერ, მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ დამატების სახით. მეორე ვარიანტი გადანერილია საქართველოს მუზეუმის „H153“ ხელნაწერიდან, მაგრამ ერთსაც და მეორესაც აკლია. ტექსტი არეულია და მისი მეცნიერულად დაწყობა შეუძლებელია, სანამ ხელთ არ გვექნება ცნობილი ბერძნული და ეთიოპური ტექსტების გამოცემანი. ამიტომ ამ ნაშრომის დაბეჭდვა უნდა გადაიდოს.

VII. ს უ ლ უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ რ ი გ შ ი უნდა მოიქცეს მეორე გამოცე-
მა „არქეოლოგიური მოგზაურობისა და შენიშვნებისა“.

წერილ-წერილი წერილები და სტატიები გზადაგზა უნდა იბეჭდებოდეს
„აკადემიის მოამბე“-ში, „უნივერსიტეტის შრომებ“-ში და „საქ[ართველოს]
მუზეუმის მოამბე“-ში.

აკადემიკოსი ე. თაყაიშვილი

სუიცა, ფონ. 268, ან. 1, საქ. 1665, ფურ. 46-48.

N 13

1951 წლის 7 თებერვალი – ს. ჯანაშიას სახ.
საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის
ანდრია აფაქიძის წერილი ექვთიმე თაყაიშვილს

ბატონო ექვთიმე!

თქვენი წერილი მე გადავეცი ამხ. დ. მჭედლიშვილს და ზოგი
რამ ზეპირადაც მოვახსენე.

ამხ. დ. მჭედლიშვილმა დაიტოვა ერთი ცალი, მეორე კი მთხოვა
თქვენთვის დამებრუნებინა და თანაც მითხრა, რომ შეისწავლის ამ საკითხს
და მოახსენებს ვისაც ჯერ არს.

პატივისცემით ა. აფაქიძე

სუიცა, ფონ. 268, ან. 1, საქ. 1665, ფურ. 49.

N 14

1951 წლის 28 მარტი – ექვთიმე თაყაიშვილის წერილი
აკაკი შანიძეს

ბ[ატო]ნო აკაკი!

როგორც პირადათ მოვახსენეთ, ბევრი დასამზადებელი სურათებია
საჭირო, როგორც დაწყებული გამოცემისათვის, ისე განზრახული ალბომები-

სათვის, და გთხოვთ, მისწეროთ მუზეუმის დირექტორს, რომ მიიღოს შრომა ამ მასალების დროულად დამზადებისათვის.

ამას გარდა, გთხოვთ, მისწეროთ, სადაც ჯერ არს მოსკოვში, რომ ქალღი 1917 წ[ლის] ექსპედიციის ტექსტის გამოსაცემად სულ მოკლე ხანში მიანოდონ რედაქციას ტალინში. თვით რუსული ტექსტი, რომელიც თქვენთან არის შესწორებული, დროებით გამომიგზავნეთ. საჭიროა უკანასკნელად გადავხედო. 1902 წლის ექსპედიციის რუსულ ტექსტს მოგართმევთ, როდესაც საჭირო ფოტოებს დამიმზადებს მუზეუმი.

როდესაც დრო იხელთოთ, გთხოვთ, ცოტა ხნით მობრძანდეთ ჩემთან. მინდა კასტელის სურათების შესახებ მოგელაპარაკოთ.

ექ. თაყაიშვილი

სუიცა, ფონ. 268, ან.1, საქ. 1004, ფურ. 12.

N 15

1951 წლის 7 სექტემბერი – აკად.

ექვთიმე თაყაიშვილის მოხსენებითი ბარათი
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარეს*

აკადემიის გამომცემლობას 1949 წელს აქეთ გადაცემული აქვს დასაბეჭდად ჩემი ნაშრომი „1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია ტაო-თორთუმ-ისპირში“. იგი ჯერ ა. აფაქიძემ წაიღო მოსკოვში, რათა იქ დაბეჭდილიყო, მაგრამ ეს არ მოხერხდა. შემდეგ ეს საქმე აკადემიამ მიანდო იოს. ყაუხჩიშვილს,⁽²²⁾ რომელიც საამისოდ მივლინებულ იყო მოსკოვში 6 თვით, მაგრამ მან იქ 8 თვე დაჰყო და მაინც ვერ მოახერხა მოსკოვში გამოცემის მოგვარება. მერე იგი გაემგზავრა ქ. ტალინში და იქაურ ერთ-ერთ ფაბრიკას ჩააბარა დასაბეჭდად, სურათებიცა და ტექსტიც. პირობის ძალით, ა. წ. 1 მარტისათვის უნდა ყოფილიყო მზად სურათები, მაგრამ დღესაც დამთავრებული არ არის, ბევრი კლიშე აკლია. წერილებზე და დეპეშებზე, როგორც ი. ყაუხჩიშვილმა გადმოიცა, ფაბრიკა პასუხს არ იძლევა. ამის მიზეზად

* იგულისხმება აკად. ილია ვეკუა. ტექსტში „მოხსენებითი ბარათის“ ქვემოთ წერია „განცხადება“, რომელიც შემდეგ გადაუშლიათ (ა. კ.).

ი. ყაუხჩიშვილი იმას მიიჩნევს, რომ აკადემიამ ვერ მიაწოდა ფაბრიკას შეპირებული თანხა.

ეს სამი თვეა ავადმყოფობ და არ ვიცი, ამ ხნის განმავლობაში როგორ არის საქმე, მოუვიდა თუ არა რაიმე ამბავი აკადემიის გამომცემლობას. გარკვეულია მხოლოდ, რომ ყოვლად შეუძლებელია ტექსტის დაბეჭდვა ქ. ტალინში. ამიტომ, როგორც წინათაც მოვახსენე სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს, ტექსტი უნდა დაიბეჭდოს თბილისში და გამზადებული სურათები უნდა დაბარებულ იქნას ტალინიდან.

განზრახული იყო 3.000 ცალის დაბეჭდვა რუსულად. ახლა, რაკი გარემოება შეიცვალა და ქართული ტექსტისათვის ცალკე ტაბულების დამზადება შეუძლებელია, დამზადებული ტაბულებიდან 1.000 ცალი უნდა მოხმარდეს ქართულ ტექსტს, ხოლო 2.000 – რუსულს. უნდა მოეთხოვოს ტალინის ფაბრიკას, მოკლე ხანში დაამთავრონ სურათების გაკეთება და ტექსტში მოსათავსებელი კლიშეები გამოგზავნონ თბილისში დაბეჭდილ ტაბულებთან ერთად. ქართული და რუსული ტექსტის აწყობა ერთდროულად უნდა დაიწყოს.

ახლა მე ფიზიკურად ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ არც წერა შემიძლია და არც სარედაქციო მუშაობის განევა. ამიტომ გთხოვთ, გამოჰყოთ ამ გამომცემის რედაქტორი. ჩემი აზრით, უნდა ეთხოვოს აკად. გ. ჩუბინაშვილს იკისროს ეს საქმე.

გთხოვთ, ყოველნაირად დააჩქაროთ ამ საკითხების მოგვარება.

აკად. ე. თაყაიშვილი

7. IX. 1951

სუიცა, ფონ. 268, ან. 1, საქ. 1665, ფურ. 40-40ა.

N 16

1952 წლის 11 მარტი – ექვთიმე თაყაიშვილის წერილი აკაკი შანიძეს

ბ[ატო]ნო აკაკ[ი]!

გიგზავნი დამზადებულს ალბომს. უსათუოდ უნდა დაისწრო შემომწმებაზე გიორგი ჩუბინაშვილი. მას გადავეცი მთელი მასალა, სადაც ცალკე პაკეტებში აღნიშნულია რა არის და რა აკლია.

გთხოვთ, პირველ რიგში მომანოდოთ ჩემ მიერ გამოგზავნილი ფოტო-
ები. ეს ჩემთვის საჭიროა. დიდად უნდა გაუფრთხილდეთ კლიშეების დალა-
გებას და დაცვას. ფართობი უნდა იშოვნოთ. ბ[ატონ] გ. ჩუბინაშვილისადმი
გადაცემული მასალები დიდ[ად] შეამსუბუქებს მუშაობას. მეტის მონერა არ
შემიძლია, ამასაც ძლივს ვჩხაპნი.

შენი ექვთიმე

სუიცა, ფონ. 268, ან.1, საქ. 1104, ფურ. 11, 40-40ა.

N 17

1952 წლის 11 მაისი – ექვთიმე თაყაიშვილის წერილი
აკაკი შანიძეს

ბატონო აკაკი!

გთხოვთ, დაწვრილებით მაცნობოთ იბეჭდება თუ არა ორივე ჩემი სტა-
ტია სამუსილმანო თურქეთში* მოგზაურობის შესახებ. რედაქტორი და კო-
რექტორი თქვენ უნდა დამინიშნოთ. ქართული ტექსტის ბეჭდვა შემდეგისათ-
ვის უნდა გადაიდვას.

ამასთანავე გთხოვთ, მაცნობოთ გამოვიდა თუ არა ბიულეტენი, სადაც
აღნიშნულია სია 1951 წლის აკადემიკოსთა. ეს მე არ მიმიღია და თუ გამოსუ-
ლია, გთხოვთ, გამომიგზავნოთ.

ჩემი ნახვა შესაძლებელია, სხვები მოდიან ჩემთან და თუ თქვენც ცოტა
ხნით შემოხვალთ დიდათ მადლობელი დაგრჩებით.

თქვენი ექ. თაყაიშვილი

სუიცა, ფონ. 268, ან.1, საქ. 1104, ფურ. 10.

* უნდა იყოს „სამუსულმანო საქართველოში“ (ა. კ.).

N 18

1952 წლის 12 მაისი – ექვთიმე თაყაიშვილის წერილი
აკაკი შანიძეს

ბატონო აკაკი!

ყოვლად შეუძლებელია ჩვენი შეთანხმება ჩემი ექსპედიციების გამოცემის შესახებ, თუ თქვენ და გ. ჩუბინაშვილმა ჩემთან ერთად არ გადახედეთ მიღებულ ტაბულებს. მაგ., თქვენ იწერებით, რომ ზოგიერთი წარწერების ამონაბეჭდები არა გვაქვსო. მე გ. ჩუბინაშვილს განსაკუთრებული აღრიცხვით ჩავაბარე ყველაფერი.

1917 წლის ექსპედიციას აკლია მხოლოდ ერთი წარწერის კლიშე, რომელიც ტექსტში მე-4 ნომრით უნდა ნასულიყო. სხვა ყველაფერი იქ არის. წარწერები ზოგიერთები ტაბულის სახით ჩატანილი იყო ალბომში, რომლისთვისაც თქვენ, ეტყობა, ყურადღება არ მიგიქცევიათ. ამიტომ კიდევ განმეორებით გთხოვთ, თქვენ და გ. ჩუბინაშვილმა მოიტანოთ, რაც მიღებული გაქვთ და ერთად გადავხედოთ და გაუგებრობა თავიდან მოვიცილოთ.

პატივისცემით ექ. თაყაიშვილი

სუიცა, ფონ. 268, ან. 1, საქ. 1104, ფურ. 9-9ა.

N 19

1952 წლის 9 სექტემბერი – ექვთიმე თაყაიშვილის
წერილი აკაკი შანიძეს

ბატონო აკაკი!

გაახლებთ ყველა პაპკებს სამუსულმანო საქართველოში მოგზაურობის შესახებ. ესენი იქნება გამოვიყენოთ ცნობებისათვის თუ საჭირო დარჩა. ნამეტნავად გამოგადგებათ ქართული ტექსტი თუ ოდესმე გამოსცემთ. ეს ტექსტი უნდა შეუდაროთ რუსულ თარგმანს და როგორც რუსულშია, ისე დააწყოთ.

ვაგზავნი სამ პაპკას ექსპედიციისა. აგრეთვე პაპკებს N 72, 78, 77, 76, 75, 74, 73.

ექ. თაყაიშვილი

მივიღე 63 (ქართ. ტექსტი), 69 (ქართ. და რუს. ტექსტი), 70 (რუს. ტექსტი), 72 (კოლა-ოლთისის და ჩანგლის სურათები), 73 (ხახულის სურათები), 74 (იშხნის ფოტო-სურ.), 75 (ოშკის გეგმები), 76 (ოთხთა ეკლ., მუხლა-ჯიგილისი), 77 (ეჭეჩის და პარხალის ფოტო-სურ.), 78 (იშხ. და ოშკის ნარწერები). *

სუიცა, ფონ. 268, ან. 1, საქ. 1004, ფურ. 8.

N 20

1953 წლის 21 თებერვალი, გარდაცვალების წინა პერიოდი – ექვთიმე თაყაიშვილის წერილი აკაკი შანიძეს

ბატონო აკაკი!

ბოდიშს ვიხდი, რომ განუხებ, მაგრამ მეტი გამოსავალი არა მაქვს: თქვენი დაპირების შესრულებას, რომ იოსებ ცინცაძეს⁽²³⁾ გამომიგზავნიდი სურათების ჩასაბარებლად, რომელნიც ჩემთან არის და აუცილებელი საჭიროა თქვენთვის არ ამისრულეთ.

ჩემი მდგომარეობა ისეთია, რომ საღამოდან დილამდის გავძლებ თუ არა, არა ვარ დარწმუნებული.

გთხოვთ!** დაუყოვნებლივ გამომიგზავნოთ ბატონი ცინცაძე და როდესაც შეგეძლება თქვენც მობრძანდით ჩემთან.

თქვენი ექ. თაყაიშვილი

სუიცა, ფონ. 268, ან. 1, საქ. 1004, ფურ. 7.

* მინაწერი ეკუთვნის აკ. შანიძეს (ა. კ.).

** ამ სიტყვის წინ ავტორს ჯერ დაუწერია „ამიტ“, მერე კი გადაუშლია და წერილი ისე გაუგრძელებია, როგორც ახლა (ა. კ.).

1953 წლის 24 თებერვალი – ექვთიმე თაყაიშვილის
ხსოვნას (ნეკროლოგი)

გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ექვთიმე სიმონის ძე თაყაიშვილი. ე. თაყაიშვილი დაიბადა 1863⁽²⁴⁾ წელს. 1887 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. ამ დროიდან მოკიდებული თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ე. თაყაიშვილი დაუღალავად ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას.

ე. თაყაიშვილი იყო საქართველოსა და რუსეთის ბევრი სამეცნიერო საზოგადოების აქტიური წევრი. განსაკუთრებული ამაგი დასდო განსვენებულმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას. ე. თაყაიშვილი იყო სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთი დამაარსებელთაგანი და მისი ერთ-ერთი პირველი პროფესორი. ე. თაყაიშვილის კალამს ეკუთვნის ორასორმოცდაათამდე ნაბეჭდი შრომა. ამათგან ბევრი სქელტანიანი წიგნია. ე. თაყაიშვილის სამეცნიერო ინტერესთა წრე მოიცავდა საქართველოს კულტურული წარსულის თითქმის ყველა დარგს: ის იყო ისტორიკოსი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი, ლიტერატურისა და ხელოვნების მცოდნე.

აღსანიშნავია ე. თაყაიშვილის ღვაწლი ქართული კულტურის ძვირფასი ძეგლების დაცვის საქმეში. ე. თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა მრავალ სამეცნიერო ექსპედიციას. მას პირადად მოვლილი და შესწავლილი აქვს ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით საქართველოს ყოველი კუთხე. ამის შედეგად გამოაქვეყნა ნაშრომების მთელი სერია – „არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“ (2 წიგნად), „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში“, „არქეოლოგიური ექსკურსიები, ძიებანი და შენიშვნები“ (გამოცემულია რუსულ ენაზე 5 წიგნად), „კავკასიის არქეოლოგიის მასალები, XII“, (გამოცემულია რუსულად) და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ე. თაყაიშვილის მეთაურობით 1917 წელს მოწყობილი კომპლექსური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში (ტაო-კლარჯეთში), რომელიც ამჟამად მიტაცებული აქვს ამერიკის იმპერიალიზმის უღელში შებმულ თურქეთს. უკვე დამთავრდა ბეჭდვა და უახლოეს დღეებში გამოვა ამ ექსპედიციის შესანიშნავი მასალები.

ე. თაყაიშვილმა მეცნიერულად გამოსცა მთელი რიგი პირველხარისხოვანი საისტორიო წყაროები („სამი ისტორიული ქრონიკა“, „მოქცევა ქართლისაჲ“, „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ვარიანტი, ხელმწიფის კარის გარიგება, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა და სხვ.). ზოგი ამ წყაროთაგანი მან პირველად მოიპოვა. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით დაიბეჭდა ძველ ქართულ სიგელ-გუჯართა სამი დიდი ტომი. მან გამოაქვეყნა ქართული ხალხური სიტყვიერებისა და ძველი ქართული მხატვრული მწერლობის ძეგლები, გამოსცა „ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი“ და ქართული პალეოგრაფიის ნიმუშები. ცალკე აღსანიშნავია ე. თაყაიშვილის კაპიტალური ნაშრომი ორ ტომად „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა აღწერილობა“ (გამოცემულია რუსულად). ამ შრომისათვის ავტორს მიენიჭა რუსეთის სამეცნიერო აკადემიის დიდი ოქროს მედალი. დიდი ოქროს მედლითვე დააჯილდოვა რუსულმა არქეოლოგიურმა საზოგადოებამ ე. თაყაიშვილის ნაშრომი „კავკასიის არქეოლოგიის მასალები, XII“.

ე. თაყაიშვილს მუშაობაში ჰქონდა შეცდომებიც. მისი ნაშრომები ყოველთვის ვერა დგას თანამედროვე საბჭოთა მეცნიერების დონეზე, მაგრამ უკანასკნელი წლების მანძილზე ის გულწრფელად ცდილობდა დამდგარიყო ჩვენი დიდი ეპოქის მოთხოვნილებათა სიმაღლეზე.

დიდი დამსახურებისათვის, რაც ე. თაყაიშვილს მიუძღვის მშობლიური მეცნიერების წინაშე, 1946 წელს იგი არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი,
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი

„კომუნისტი“, 1953, 24 თებერვალი

N 22

1953 წლის 25 თებერვალი – აკაკი შანიძის წერილი პროფ. ექვთიმე თაყაიშვილის ანდერძის შემსრულებელი კომისიის წევრს პროფ. ნიკო კეცხოველს

აღნიშნული კომისიის ორი სხვა წევრი მეტად გაკვირვებულია იმით, რომ დღეს, 25 თებერვალს] 1953 წელს], განსვენებული აკადემიკოსის მიერ ნაანდერძევი ქონების გამო შემდგარ სხდომაზე პროფ. ნიკო კეცხოველი, ამ კომისიის თავმჯდომარე, არ გამოცხადდა.

ქონება განაწილებულია და სათანადოდ გადაცემული.

ოქმი სხდომისა დამზადდება. დაუსწრებელი თავმჯდომარე დასწრებულად აღინიშნება.

აკაკი შანიძე

სუიცა, ფონ. 268, ან.1, საქ. N 1005, ფურ. 7.

N 23

1982 წლის 2 მარტის წინა პერიოდი – ნუნუ თაყაიშვილის მოკლე ჩანაწერი ექვთიმე თაყაიშვილთან დაკავშირებით, აკაკი შანიძისათვის გადასაცემად

დიდად პატივცემულ ბატონ აკაკი შანიძეს*

ექვთიმე თაყაიშვილს ჰყავდა ორი ძმა და ერთი და: ნიკო, ვარლამი და ლიზა თაყაიშვილები.⁽²⁵⁾

ამჟამად დარჩენილია ნიკო თაყაიშვილის შვილები: ნუნუ ნიკოლოზის ასული და ვარლამ ნიკოლოზის ძე თაყაიშვილები.⁽²⁶⁾

როდესაც 1945 წლის მაისში ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოში დაბრუნდა, არც ერთი მისი ძმიშვილი იმჟამად თბილისში არ ცხოვრობდა. ვინაიდან მას სჭირდებოდა მუდმივი ყურადღება, ის იძულებული იყო ეცხოვრა მისი ცოლისძმის ალექსანდრე პალტარაცკის ბინის გვერდით გამოყოფილ ბინაში ვაშლოვანის ქუჩაზე.

* ეს დაწერა ჩემი თხოვნით ნუნუ თაყაიშვილმა და გადმომცა 2. III. 1982 წ. ა. შანიძე.

ალექსანდრე პალტარაცკს ცოლად ჰყავდა ლიდა თაყაიშვილი-პალტარაცკი, რომელიც არავითარი ნათესავი არ იყო ექვთიმესი, გარდა იმისა, რომ ის იყო ცოლი მისი ცოლისძმის ალექსანდრესი.

ლიდა* იყო უკანონო შვილი ერთ-ერთი თაყაიშვილისა და იმიტომ ატარებდა თაყაიშვილის გვარს.

შენიშვნები

1) აკ. შანიძის ნაშრომის „Субъектный префикс второго лица и объектный третьего в грузинских глаголах“, ბეჭდვა მისი დამთავრებისთანავე (1915) დაინყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სტამბამ. გამოვიდა სამი რვეულის სახით, მაგრამ მონოგრაფიის სრული გამოცემა მაშინ ვერ მოხერხდა. მისი ქართული ვარიანტი დაიბეჭდა თბილისში (1920) და მოგვიანებით უცვლელად შევიდა დიდი მეცნიერის თორმეტტომეულში (შანიძე აკ., *ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები*, „თბზულებანი“, ტ. III, მთავარი რედაქტორი შ. ძიძიგური, ტომის რედაქტორი კ. დანელია, თბილისი, 1981, გვ. 49-279), ე. თაყაიშვილი ინტერესით ელოდებოდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე აღნიშნულ საკითხზე ავტორის მოხსენებას.

2) მართლაც, აკ. შანიძემ თბილისში ჩამოიტანა და ე. თაყაიშვილს გადასცა Описание-ს მის მიერ შედგენილი საძიებელი, რომლის ერთი ეგზემპლარი ინახება ე. თაყაიშვილის პირად არქივში (იხ. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ე. თაყაიშვილის ფონ. N155), მეორე კი – თავად აკ. შანიძის არქივში. ე. თაყაიშვილის Описание-ს I და II ტომის საძიებლები შედგენილი ა. შანიძის და ალ. ბარამიძის მიერ გამოიცა მოგვიანებით (იხ. „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისთვის“, 1939, ნაკვ. II).

3) ორივე აკადემიკოსმა – იგულისხმებიან გ. ჩუბინაშვილი და აკ. შანიძე.

4) როგორც მე-15 წერილიდან ჩანს, მოსკოვში ამ დროს იმყოფება არა სიმონ ყაუხჩიშვილი, არამედ მისი ბიძაშვილი იოსებ (სოსო) ყაუხჩიშვილი, რომელიც ე. თაყაიშვილს ერევა მის ნათესავში.

5) „ჩვენი ბელადი“ – ი. სტალინი.

* ამ ლიდასთან ცხოვრობდა ე. თაყაიშვილი საქართველოში დაბრუნების შემდეგ – [კაკი] შანიძე] (ა. შ.). – ესაა აკ. შანიძის მინაწერი ნ. თაყაიშვილის ჩანაწერზე (ა. კ.)

6) სევეროვი ნიკოლოზ (1887-1957) – ნიკოლოზ სევეროვის მონოგრაფია „Памятники Грузинского зодчества“, რომელზეც ლაპარაკია წერილებში, გამოვიდა 1951 წელს.

7) იგულისხმება ილია ვეკუა, რომელიც ამ დროს გახლდათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარე.

8) „საქართველოს სიძველენი“-ს I ტომი პირველად გამოვიდა 1899 წელს. მასში დაბეჭდილია 431 სიგელ-გუჯარი. ხოლო ამავე ტომის მეორე გამოცემა გამოვიდა – 1920 წელს. მეორე გამოცემაში დაბეჭდილია მხოლოდ 201 სიგელ-გუჯარი.

9) 1899 წლის „საქართველოს სიძველენი“-ს I ტომში მოთავსებული მთელი მასალა ნაწილ-ნაწილ ქვეყნდებოდა 1895-98 წლების ჟურნ. „მომამბე“-ში.

10) ე. თაყაიშვილს „საქართველოს სიძველენი“-ს მეორე გამოცემის თარიღი ეშლება. იხ. მე-12 შენიშვნა.

11) გიორგი ლომთათიძის მეუღლე – ნინო ლოლობერიძე (1918-2003).

12) სვანიძე სიმონ – მონაცემი არ გვაქვს.

13) თაყაიშვილი-პოლტორაცკაია ლილია-ლიდა (1896-1966) – ე. თაყაიშვილის შვილობილი.

14) პოლტორაცკი ალექსანდრე (1878-1955) – იურისტი, ვეჭილი, ე. თაყაიშვილის სიძე, ლილიას ქმარი.

15) ჩარკვიანი კანდიდ (1906-1994) – საქართველოს კპ ცეკას პირველი მდივანი.

16) ე. თაყაიშვილის ეს ნაშრომი აკ. შანიძის რედაქციით რუსულად გამოიცა 1952 წელს, ხოლო ქართულად 1960 წელს.

17) ლიოზენი ედუარდ – მოყვარული ფოტოგრაფი, თბილისის ვაჟთა II გიმნაზიის ფრანგულის მასწავლებელი, სხვა ინფორმაცია არ გვაქვს. ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციების მონაწილე.

18) კიუნე თ. – ფოტოგრაფი, სხვა ინფორმაცია არ გვაქვს. ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციების მონაწილე.

19) დაიბეჭდა 1914 წელს.

20) „სუმბატ დავითის ძის ქრონიკა“ ე. თაყაიშვილმა ქართულად პირველად გამოსცა 1890 წელს. მისი ტექსტი რუსულად თარგმნა და დაბეჭდა 1900 წელს, ხოლო ქართული ტექსტი მეორედ გამოსცა 1906, მესამედ კი 1949 წელს.

21) მჭედლიშვილი დავით (1914-2001) – ქართველი ჟურნალისტი.

22) ყაუხჩიშვილი იოსებ (სოსო) ივანეს ძე (? - ?) – მუშაობდა აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის გამომცემლობის სამხატვრო განყოფილების გამგედ (1931-1941).

23) მეექვსე წერილის მსგავსად, სადაც ს. ყაუხჩიშვილი ნახსენებია ი. ყაუხჩიშვილის ნაცვლად, აქაც ი. ცინცაძის მაგიერ ვ. ცინცაძე უნდა იგულისხმებოდეს, რომელზეც ე. თაყაიშვილის მონოგრაფიის რედაქტორის წინათქმაში აკ. შანიძე წერს: „В подготовке к печати иллюстраций настоящей книги принял участие Институт истории Грузинского искусства АН ГССР в лице своего сотрудника В. Цинцадзе“, см. ‘Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии’, Тбилиси, 1952, გვ. 5”.

24) ჩვენ მიერ დოკუმენტურად არის დადგენილი, რომ ე. თაყაიშვილი დაიბადა 1862 წლის 5 იანვარს, ხოლო მოუნათლავთ 1863 წლის 14 იანვარს (კრებ.: „დიდი ექვთიმე“, მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, თბილისი, 2014, გვ. 42-44), რაც დამკვიდრდა კიდევ ლიტერატურაში (რ. მეტრეველი, *თაყაიშვილი ექვთიმე სიმონის ძე*, „საქართველოს ენციკლოპედია“, მთავარი რედაქტორი, ზ. აბაშიძე, თბილისი, 2014, ტ. 3, გვ. 485).

25) თაყაიშვილები ნიკო, ვარლამ და ლიზა – ე. თაყაიშვილის უფროსი და-ძმები. მათგან პირველი ნიკო-ნიკოკია დედის დიდი ძალისხმევით მიიღეს ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელში, არ სწავლობდა, სახლში მობრუნდა და ძმასთან, ვარლამთან ერთად სამხედრო სამსახური აირჩია. ორივე დაოჯახებული იყო. ლიზა კი გათხოვილი სოფ. ძიმითში სიმონ გოთუაზე და ექვთიმე დედის გარდაცვალების შემდეგ ერთხანს ძიმითში დასთან იზრდებოდა.

26) თაყაიშვილი ნუნუ ნიკოლოზის ასული და ვარლამ ნიკოლოზის ძე – ნიკო-ნიკოკია თაყაიშვილის შვილები.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

სუიცა – საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონ. 268, ანან. 1, საქ. 788, 1004, 1005, 1104, 1665.

„კომუნისტი“, 1953, 24 თებერვალი – გაზ. „კომუნისტი“, N 46, 1953, 24 თებერვალი.

აკაკი შანიძის წერილები ნიკო მარს – აკაკი შანიძის წერილები ნიკო მარს (პუბლიკაცია და შენიშვნები ი. მეგრელიძისა), „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე: ენისა და ლიტერატურის სერია“, 1982, N 3, გვ. 108-196.

კრ. „დიდი ექვთიმე“ – კრ. „დიდი ექვთიმე“, მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, თბილისი, 2014.

თაყაიშვილი, *Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии (1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში)* – თაყაიშვილი ე., *Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии (1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში)*, „თხზულებანი“, ტ. 1, მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, თბილისი, 2016.

თაყაიშვილი, *რჩეული ნაწერები, ტ. 1* – თაყაიშვილი ე., *რჩეული ნაწერები*, ტ. 1, თბილისი, 1968.

კიკვიძე, *საქართველოს ისტორია* – კიკვიძე ა., *საქართველოს ისტორია (1801-1890)*, თბილისი, 1977.

ლომთათიძე, *ქართული კულტურის მემკვიდრე ექვთიმე თაყაიშვილი* – ლომთათიძე გ., *ქართული კულტურის მემკვიდრე ექვთიმე თაყაიშვილი*, თბილისი, 1990.

ლორთქიფანიძე, *მცირე მოგონება* – ლორთქიფანიძე მ., *მცირე მოგონება*, კრებ. „დიდი ექვთიმე“, მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, თბილისი, 2014.

მამარდაშვილი, *„განსაზღვრულიდან წმინდანობამდე“. ორი უცნობი დოკუმენტი* – მამარდაშვილი ნ., *„განსაზღვრულიდან წმინდანობამდე“. ორი უცნობი დოკუმენტი*, კრებ. „დიდი ექვთიმე“, მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, თბილისი, 2014, გვ. 652-659.

მეგრელიძე, *ექვთიმე თაყაიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა)* – მეგრელიძე ი., *ექვთიმე თაყაიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა)*, თბილისი, 1989.

მეტრეველი, *თაყაიშვილი ექვთიმე სიმონის ძე* – მეტრეველი რ., *თაყაიშვილი ექვთიმე სიმონის ძე*, „საქართველოს ენციკლოპედია“, მთავარი რედაქტორი, ზ. აბაშიძე, თბილისი, 2014, ტ. 3, გვ. 485.

ქიქოძე, *თანამედროვის ჩანაწერები* – ქიქოძე გ., *თანამედროვის ჩანაწერები*, თბილისი, 2003.

შანიძე, *ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები* – შანიძე აკ., *ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები*, „თხზულებანი“, ტ. III, მთავარი რედაქტორი შ. ძიძიგური, ტომის რედაქტორი კ. დანელია, თბილისი, 1981, გვ. 49-279.

ჩარკვიანი, *განცდილი და ნააზრევი* – ჩარკვიანი კ., *განცდილი და ნააზრევი*, თბილისი, 2004.

ჩარკვიანი, *ინტერვიუ მამასთან (კანდიდ ჩარკვიანი სტალინის, ბერიას და გვიანდელი ეპოქის საქართველოს შესახებ)* – ჩარკვიანი გ., *ინტერვიუ მამასთან (კანდიდ ჩარკვიანი სტალინის, ბერიას და გვიანდელი ეპოქის საქართველოს შესახებ)*, თბილისი, 2013.

ჯორჯიკია, საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ისტორიიდან — ჯორჯიკია ნ., საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ისტორიიდან (XX საუკუნის 40-იან წლები და 50-იანი წლების დასაწყისი), თბილისი, 2017.

Archil Kokhreidze

Ekvtime Takaishvili's Letters to Akaki Shanidze and some other Materials

Summary

Relationships between Ekvtime Takaishvili and Akaki Shanidze have always been professional, friendly, collegial, full of mutual respect and E. Takaishvili's 16 letters, maintained in Ak. Shanidze's personal archive at the National Archive of Georgia, clearly demonstrate this. These letters have never been published before. Here we publish also some documents written by the historian and those associated with him. Contents of these documents are related with the above letters supplement one another and therefore, we have placed and numbered them in common chronological sequence.

The first letter from E. Takaishvili to Ak. Shanidze deals with the initial stage of scientific research by the latter. It is not dated and supposedly it was written in 1913, describing the period of Ak. Shanidze's travel in Georgian mountain regions to study Georgian dialects; reports about the course of this expedition were submitted to N. Marr, in St. Petersburg.

Other letters from E. Takaishvili to Ak. Shanidze (15 letters in aggregate) were written in 1948-53, mostly describing the process of work of the outstanding historian on his last monograph "Archeological Expedition of 1917 in Southern Provinces of Georgia" [in Russian] and containing many interesting details related to this. The letter clearly shows the social and political environment of that period posing additional difficulties to the author and his friends and colleagues taking care about the publication of his work, among them, Ak. Shanidze's efforts should be particularly admitted. It is apparent, from the letters that E. Takaishvili paid great attention not only to the publication of his other works but also to the issues facing him or arisen by the others from time to time.

Work on monograph describing expedition of 1917 brought to E. Takaishvili the idea of publication of his works. The venerable scientist made this offer in his

letter to K. Charkviani, the First Secretary of the Central Committee of the Communist Party of Georgia, providing large-scale publication plan-project of his works. D. Mchedlishvili, a staff member of the Central Committee of the Communist Party was requested to respond to the mentioned letter to K. Charkviani. The latter assigned G. Chubinashvili, who consulted with the venerable scientist and regarding the significance of the historian's works, developed the plan-project different from the previous one. Unfortunately, the issue of publication of E. Takaishvili's works was not followed to its logical end, though the Academy of Sciences of Georgia intended to publish the book about the expedition of 1902.

Provided materials clearly describe the situation at the end of E. Takaishvili's life. It was known before that reprisal against E. Takaishvili commenced with the arrest of his adopted daughter, Lidia Takaishvili-Poltoratskaya (6. 12. 1951). But now it turned out that the historian faced the first problems in 1950, when his driver was arrested. In addition, it turned out that the soviet intelligence has interrogated the scientists not two times, as known before but three times, with the first interrogation immediately upon the arrest of his adopted daughter.

Here is provided also Ak. Shanidze's characteristic of E. Takaishvili's scientific and public activities, written in Russian, the scientist's necrology and some other notable materials significant for studying of the historian's biography.